



თელავის მარანი/TELAVI CELLAR

ფინანსური ანგარიშგება 31 დეკემბერი 2023 წლის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი(GEL)

ქ.თბილისი



შპს „თელავის მარანი“
204969230

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით, დასრულებული წლის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	[2]
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	[3]
სრული შემოსავლის ანგარიშგება	[4]
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	[5]
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	[6]
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	[7-15]

შპს „თელავის მარანი“-ს (ს/კ: 204969230) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „თელავის მარანი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას; სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას, 2023 წლის 31 დეკემბრით, დასრულებული წლისთვის „მს“ ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, რომელიც უზრუნველყოფს შესადარის, მართებულ, საიმედო, დროულ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მხარეებმა გააანალიზონ კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და მის „მს“ ფასს-თან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით, დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს.

აღმასრულებელი/ფინანსური დირექტორი

კ.ცისკარიშვილი _____

30 სექტემბერი, 2024 წელი
საქართველო, ქ.თბილისი

*7-15 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „თელავის მარანი“-ს (ს/კ: 204969230) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „თელავის მარანი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას; სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას, 2023 წლის 31 დეკემბრით, დასრულებული წლისთვის „მსს“ ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, რომელიც უზრუნველყოფს შესადარის, მართებულ, საიმედო, დროულ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მხარეებმა გააანალიზონ კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და მის „მსს“ ფასს-თან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით, დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს.

აღმასრულებელი/ფინანსური დირექტორი

კ.ცისკარიშვილი

30 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველო, ქ.თბილისი



შპს „თელავის მარანი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ფუნქციონალური ვალუტა -ქართული ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	235,656	261,840
სულ გრძელვადიანი აქტივები		235,656	261,840
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	1,231,641	1,080,814
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,889,249	3,632,072
საინვესტიციო შენატანი		297,500	348,500
ფული და ფულის ექვივალენტები	9	37,501	50,830
სულ მიმდინარე აქტივები		5,455,891	5,112,216
სულ აქტივები		5,691,547	5,374,056
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		4,513,032	4,052,796
სულ კაპიტალი		4,515,032	4,054,796
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,176,515	1,090,333
გრძელვადიანი ნასესხები თანხები		0	228,927
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,176,515	1,319,260
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,691,547	5,374,056

აღმასრულებელი/ფინანსური დირექტორი

კ.ცისკარიშვილი _____

30 სექტემბერი, 2024 წელი
საქართველო, ქ.თბილისი

*7-15 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თელავის მარანი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ფუნქციონალური ვალუტა -ქართული ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	235,656	261,840
სულ გრძელვადიანი აქტივები		235,656	261,840
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	1,231,641	1,080,814
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,889,249	3,632,072
საინვესტიციო შენატანი		297,500	348,500
ფული და ფულის ექვივალენტები	9	37,501	50,830
სულ მიმდინარე აქტივები		5,455,891	5,112,216
სულ აქტივები		5,691,547	5,374,056
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		4,513,032	4,052,796
სულ კაპიტალი		4,515,032	4,054,796
მიმდინარე ვალდებულებები			
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,176,515	1,090,333
გრძელვადიანი ნასესხები თანხები		0	228,927
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,176,515	1,319,260
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,691,547	5,374,056

აღმასრულებელი/ფინანსური დირექტორი

კ.ცისკარიშვილი 

30 სექტემბერი, 2024 წელი
საქართველო, ქ.თბილისი

*7-15 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „თელავის მარანი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ფუნქციონალური ვალუტა - ქართული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი	12	9,311,419	8,509,945
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(5,215,888)	(4,747,064)
საერთო მოგება/(ზარალი)		4,095,531	3,762,881
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,484,622)	(2,896,260)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		610,909	866,621
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		4,125	4,925
მოგება დაბეგვრამდე		615,034	871,546
მოგების გადასახადი		(23,220)	(70,588)
წლის წმინდა მოგება		591,814	800,958

აღმასრულებელი/ფინანსური დირექტორი

კ.ცისკარიშვილი _____

30 სექტემბერი, 2024 წელი
საქართველო, ქ.თბილისი

*7-15 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „თელავის მარანი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ფუნქციონალური ვალუტა - ქართული ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი	12	9,311,419	8,509,945
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(5,215,888)	(4,747,064)
საერთო მოგება/(ზარალი)		4,095,531	3,762,881
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,484,622)	(2,896,260)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		610,909	866,621
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		4,125	4,925
მოგება დაზღვევამდე		615,034	871,546
მოგების გადასახადი		(23,220)	(70,588)
წლის წმინდა მოგება		591,814	800,958

აღმასრულებელი/ფინანსური დირექტორი

კ.ცისკარიშვილი 

30 სექტემბერი, 2024 წელი
საქართველო, ქ.თბილისი

*7-15 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „თელავის მარანი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(ფუნქციონალური ვალუტა - ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	2,000	4,052,796	4,054,796
მოგება წლის განმავლობაში		591,814	-
გაცემული დივიდენდი		(131,578)	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	2,000	4,513,032	4,515,032

აღმასრულებელი/ფინანსური დირექტორი

კ.ცისკარიშვილი _____

30 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველო, ქ.თბილისი

*7-15 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „თელავის მარანი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ფუნქციონალური ვალუტა - ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	2,000	4,052,796	4,054,796
მოგება წლის განმავლობაში		591,814	-
გაყიებული დივიდენდი		(131,578)	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	2,000	4,513,032	4,515,032

აღმასრულებელი/ფინანსური დირექტორი

კ.ცისკარიშვილი 

30 სექტემბერი, 2024 წელი
საქართველო, ქ.თბილისი

*7-15 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



2023 წლის 31 დეკემბერი

(ფუნქციონალური ვალუტა - ქართული ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31-12-23	31-12-22
	საანგარიშგებოპერიოდი	საანგარიშგებოპერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(14,329)	(17,142)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,000	4,925
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(13,329)	(12,217)
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	50,830	63,047
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	37,501	50,830

აღმასრულებელი/ფინანსური დირექტორი

კ.ცისკარიშვილი _____

30 სექტემბერი, 2024 წელი

საქართველო, ქ.თბილისი

*7-15 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



2023 წლის 31 დეკემბერი

(ფუნქციონალური ვალუტა - ქართული ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31-12-23	31-12-22
	საანგარიშგებობერიოდი	საანგარიშგებობერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(14,329)	(17,142)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,000	4,925
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის გვერდულენტებში	(13,329)	(12,217)
სავეალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის გვერდულენტები წლის დასაწყისში	50,830	63,047
ფული და ფულის გვერდულენტები წლის ბოლოს	37,501	50,830

აღმასრულებელი/ფინანსური დირექტორი

კ.ცისკარიშვილი 

30 სექტემბერი, 2024 წელი
საქართველო, ქ.თბილისი

*7-15 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „თელავის მარანი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერი
(ფუნქციონალური ვალუტა - ქართული ლარი)

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „თელავის მარანი“ (ს/კ:204969230) თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა, დაარსდა 2001 წლის 10 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი - 5ა/4-3054.

კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელი და დირექტორია - პაატა ცისკარიშვილი (პ/ნ:01009001820).

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სალკოპოლიანი სასმელებით საცალო და საბითუმო ვაჭრობას. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს - #2 გელოვანის გამზ. ქ.თბილისი, საქართველო 0159.

კომპანიის იურიდიული მისამართია - #2 გელოვანის გამზ. ქ.თბილისი, საქართველო 0159.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციების თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული იქნა შემდეგი სავალუტო გაცვლითი კურს(ებ)ი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად:

31 დეკემბერი 2023

31 დეკემბერი 2022

1 აშშ დოლარი->ლარი

2.6894

2.7020

1 ევრო->ლარი

2.9753

2.8844

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაციითა და ძლიერი ეკონომიკური ზრდით.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე, საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა, საჭირო ზომას, რათა ხელი შეუწყონ კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა გვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს, ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც შესაძლოა შეიცავდეს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენებაც არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთის ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარებულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოწერილია.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით ან/და ღირებულებას გამოკლებული და გროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდანმისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

ელ. მოწყობილობები	7-10
ავეჯი და ინვენტარი	7-10
სატრანსპორტო საშუალებები	7-10
სხვა	7-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარებისგზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკურის სარგებლის დასამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საანგარიშგებო პერიოდისათვის კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე სესხ (ებ)ი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილე მხარე. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული, თავდაპირველი ასახვის გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც იგი იქნა გაწეული და კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან/და ვადა გაუვა.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 01 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი კვლავ 15% წარმოადგენს.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად, მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდის გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- დოკუმენტალურად დაუდასტურებელი ხარჯები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდ(ებ)ი, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი



მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსურიანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრიმოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. თუ მარაგები გაუფასურდამისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურებისა თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება, დამტკიცება და გაცემა. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

კომპანია არ ახდენდა ძირითადი საშუალებ(ებ)ის სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდულად გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებ(ებ)ის განხორციელებას. 2018 წლის ბოლოს მოახდინა სასარგებლო მომსახურების ვად(ებ)ის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლის გადაანგარიშება.

სხვა, არსებითი ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა.

6. ძირითადი საშუალებები

	ელ. მოწყობილ ობები	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	ჯამი
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
2022 წლის 31 დეკემბერი	10,269	10,439	232,716	8,416	261,840
ძირითადი საშუალებების მიღება	13,926	0	25,775	1,365	41,066
ცვეთისხარჯი	(6,057)	(3,088)	(56,422)	(1,683)	(67,250)
2023 წლის 31 დეკემბერი	18,138	7,351	202,069	8,098	235,656

7. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	დეკემბერი 31 2023	დეკემბერი 31 2022
პროდუქცია	1,231,641	1,080,814
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,231,641	1,080,814

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	დეკემბერი 31 2023	დეკემბერი 31 2022
სავაჭრო მოთხოვნები	3,889,249	3,628,966
გაცემული ავანსები	0	3,106
სავაჭროდასახამოთხოვნები	3,889,249	3,632,072

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	დეკემბერი 31 2023	დეკემბერი 31 2022
თანხა სალაროში	11,099	10,045
თანხა ბანკში	26,402	40,785
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	37,501	50,830

10. კაპიტალი

2023 წლის განმავლობაში, მოხდა კაპიტალის შემცირება, გაუნაწილებელი მოგების განაწილების ხარჯზე. კეძოდ, საოპერაციო პერიოდში გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 131,578 ლარი.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	დეკემბერი 31 2023	დეკემბერი 31 2022
სავაჭრო ვალდებულებები	1,176,515	1,090,333
სხვა გრძელვადიანი სესხები	0	228,927
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,176,515	1,319,260

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არერიცხებათ პროცენტი დამათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

კომპანიამ 2022 წლის სექტემბრის თვეში აიღო სასესხო ვალდებულება სს „ბაზის ბანკ“-ში, ვალუტაში - ქართული ლარი. რომელიც დაფარა 2023 წლის აგვისტოს თვეში, სრულად.

12. შემოსავალი

შემოსავალი	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი რეალიზებული პროდუქციიდან	9,311,419	8,509,945
სულ შემოსავალი	9,311,419	8,509,945

13. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2023 წელი	2022 წელი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5,215,888	4,747,064
სულ თვითღირებულება	5,215,888	4,747,064

2023 წლის განმავლობაში 5,215,888 ლარის ღირებულების მარაგები გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში.

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
ხელფასები	1,552,112	1,049,947
დაზღვევის ხარჯი	0	32,729
იჯარის ხარჯი	93,828	95,040
მომსახურების ხარჯები	1,490,077	1,380,903
კომუნალური ხარჯები	8,711	8,440
მივლინების ხარჯები	115	-
ცვთვის ხარჯი	67,250	65,460
ა/მხარჯი	29,830	41,602
კომუნიკაციის ხარჯები	8,947	9,591
საწვავის ხარჯი	55,977	93,708
საპროცენტო ხარჯი	9,680	14,656
სხვა დანარჩენი ხარჯები	168,095	104,184
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:	3,484,622	2,896,260

15. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომმატერიალურ დანაკარგებს არ ჰქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ჰქონდეს.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია. კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოდის, ასევე კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებულია და შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულების არსებობა არ დაფიქსირებულა.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ გააჩნია საინვესტიციო ვალდებულებ(ებ)ი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ანგარიშგების წარდგენამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.